სერია: „მატერიალური კულტურის ძეგლები"

ძეგლის მეგობარი

კრებული მეათე მეთერთმეტე

ⴛⴄⴂⴊⴈⴑ ⴋⴄⴂⴍⴁⴀⴐⴈ

ილია აბულაძე
ხელნაწერთა ინსტიტუტის დირექტორი,
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპოდენტი

ჩვენი ერის მწიგნობრული საუნჯე

ხალხის კულტურის ისტორიის მეცნიერული შესწავლისათვის ყველაზე უფრო საიმედოდ წერილობითი წყაროები ითვლება. ქართული კულტურის განვითარების გათვალისწინება საკუთარი წერილობითი წყაროების მიხედვით ჯერჯერობით ჩვენი წელთაღრიცხვის V საუკუნიდან ხერხდება. რადგან ამ ხანიდან არის შემონახული ქართული მწერლობისა და ენის ძეგლები. წინა ხანა. ერთი მხრით. უცხოური წყაროებისა და. მეორე მხრით. ნივთიერი კულტურის ძეგლთა მიხედვით შეისწავლება.

თავის დროზე ჩვენშიც შემუშავდა იმის შეგნება. რომ ქართველი ხალხის ისტორიის შესწავლისათვის ერთი უმთავრესი პირობათაგანია მისი სულიერი და ნივთიერი კულტურის ძეგლთა დაცვა. შემოკრება-შენახვა. მოვლა და პატრონობა.

ქართველი მოწინავე ინტელიგენცია ამ აზრით იმსჭვალება ჯერ კიდევ გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან. მის უაქტიურეს წევრთა თაოსნობით დაიწყო ამა თუ იმ კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებასთან ქართულ ხელნაწერთა შეგროვება.

ქართული საზოგადოებრიობის ფართო მხარდაჭერითა და უანგარო მონაწილეობით მალე ისეთი კოლექციები დაგროვდა. რომ ხსენებულ საზოგადოებებთან ცალკე მუზეუმებიც კი შეიქმნა.

ყველაზე უწინარეს ხელნაწერთა და საისტორიო დოკუმენტთა შეგროვება ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებასთან დაიწყო. ამ საზოგადოების დამაარსებელნი და მესვეურნი — დიდი ქართველი მოღვაწეები დ. ყ ი ფ ი ა ნ ი და ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე—ამ მხრითაც. სხვებისათვის ნიმუშის მიმცემი იყვნენ. ხელნაწერთა კოლექციების შეგროვებისა და შესწავლისათვის აქ თავდადებით ზრუნავდნენ ამ საქმის დიდი ენთუზიასტები—ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი და

დ. კარიჭაშვილი. განსაკუთრებით პირველი. რომელმაც არა ერთი და ორი ძვირფასი ხელნაწერი მოუპოვა საზოგადოებას და მეცნიერულად აღწერა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების კოლექციის მნიშვნელოვანი ნაწილი.

ქართველი ხალხის სულიერი და გარკვეული ნივთიერი კულტურის ძეგლთა შეგროვების, დაცვისა და შესწავლისათვის 1888 წ. შეიქმნა საეკლესიო მუზეუმიც. იმ პირთაგან, ვინც აქ სამუზეუმო საქმეს ემსახურებოდნენ თავდადებით, აღსანიშნავი არიან დ. ბაქრაძე, თ. ჟორდანია და მ. ჯანაშვილი. ესენი იყვნენ არა მარტო ექსპონატების შემკრებნი, არამედ მათი მომვლელ-დამცველნი და, უმეტეს შემთხვევაში, შემსწავლელ-გამომქვეყნებელნი.



ხანმეტი ლექციონარი, VII ს.

1907 წელს დაარსდა ჩვენში კიდევ ერთი საზოგადოება, — საისტორიო-საეთნოგრაფიო, რომლის ერთ-ერთ ძირითად ამოცანას შეადგენდა ხელნაწერი წიგნების, საისტორიო დოკუმენტებისა და ზეპირსიტყვაობითი მასალის შეგროვება. ამ საზოგადოების დამაარსებელი და მისი მუზეუმის მეცნიერი ხელმძღვანელი დღიდან მისი დაარსებისა 1921 წლამდის აკად. ე. თაყაიშვილი იყო. მისმა დაულეველმა ენერგიამ და სიძველეთა უანგარო სიყვარულმა საზოგადოებას, რომელიც სხვებთან მიმართებით ახალგაზრდა იყო, შეაძლებინა, შეეკრიბა სხვებზე არა ნაკლები კოლექცია და სანიმუშოდ გამოეცა ზოგიერთი მნიშვნელოვანი ძეგლი.

ხელნაწერთა შეგროვების, დაცვისა და შესწავლის საქმიანობაში საშურად მაინც შეგროვება იყო მიჩნეული. დაცვისა და შესწავლისათვის საოანაღო პირობები არ არსებობდა. შეუფერებელი იყო საცავები და მცირედნი იყვნენ შემსწავლელნი.

საბჭოთა წყობილების დამყარების დღიდან კულტურის ეს დარგიც იმთავითვე სახელმწიფოს ზრუნვის საგნად იქცა. სიძველეთსაცავებს მიეცათ სახსარი,



ქართულ-ებრაული პალიმფსესტი. V – VI სს. დაცულია ოქსფორდში

ძველი ხელნაწერების. ისტორიული დოკუმენტებისა და საარქივო მასალების შესაძენად. სათანადო ორგანოების თაოსნობით გადაიდგა ნაბიჯი საქართველოდან რუსეთს ძველად გატანილი ხელნაწერი კოლექციების დასაბრუნებლად ასევე ხელისუფლების სათანადო ღონისძიების შედეგად დაბრუნდა პარიზს 1921 წელს გაზიდული ხელნაწერები და სხვა ისტორიული ძეგლები.

უკეთ მოვლისა და მეცნიერული შესწავლის ჯეროვნად წარმართვისათვის ზოგიერთი მუზეუმი (საეკლესიოსი და წერა-კითხვის გამავრცელებელი საზ-ბისა)



ადიშის ოთხთავი, 897 წ.
მესტიის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი

შეუერთდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სიძველეთსაცავს და შემდეგში. საისტორიო-საეთნოგრაფიო საზ-ბის მუზეუმთან ერთად მიზანშეწონილად ჩაითვალა ყველა მათი გაერთიანებაც. ახალი უწყება. სადაც ახალი ორგანიზაცია ჩამოყალიბდა 1929 წელს. იყო საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი (1941 წლამდის განათლების კომისარიატისა და შემდეგ საქართველოს სსრ მეც-

ნიერებათა აკადემიის სისტემაში შემავალი). კერძოდ მასში სპეციალურად შექმნილი ხელნაწერთა განყოფილება.

1929 წლიდან ხელნაწერთა განყოფილებამ დააარსა ხელნაწერთა საკუთარი ფონდი და ახლად შემომავალი მასალები უკვე მასში გაატარა. აქვე გამოიყო ცალკე კოლექციებად აღმოსავლურსა და დასავლურ ენებზე დაცული ხელნაწერი წიგნები და საისტორიო დოკუმენტები. რომლებიც სხვა ძირითად კოლექციებში იყო შერეული. ამასთან ეს ფონდი. განსაკუთრებით კოლექციები აღმოსავლურ ენებზე (არაბულ. სპარსულსა და თურქულზე). მნიშვნელოვნად შეივსო ახალ-ახალი შენაძენი მასალით — ხელნაწერი წიგნებითა და ისტორიული დოკუმენტებით.

ხელნაწერთა განყოფილებამ 1958 წლამდის იარსება.

1958 წლის 30 ივნისიდან საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის დადგენილებით საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილების ბაზაზე დაარსდა ხელნაწერთა ინსტიტუტი. რომელიც 1962 წლიდან აკად. კ. კეკელიძის სახელს ატარებს. ამ ინსტიტუტის უმთავრეს ამოცანად დაისახა: ხელნაწერთა შეკრებისა და მათი მოვლა-დაცვის საქმის მტკიცე საფუძველზე აგება. ფონდების სრულ მეცნიერულ აღწერილობათა შედგენა და მნიშვნელოვანი წერილობითი ძეგლებისა და წყაროების გამოქვეყნება. ძველი კულტურული სამწერლობო ცენტრების შესწავლა და პალეოგრაფიულ ძიებათ წარმოება.

ინსტიტუტში შეიქმნა შემდეგი უჯრედები: არქეოგრაფიის განყოფილება. ქართული პალეოგრაფიის განყოფილება. ძველი ქართული ფილოლოგიის განყოფილება. ქიმიურ-სარესტავრაციო და საამკინძველო ლაბორატორია. აკად. ივანე ჯავახიშვილის სახელობის კაბინეტი (რომელიც მოწოდებულია დაიცვას, შეისწავლოს და მოამზადოს გამოსაცემად მეცნიერული მემკვიდრეობა დიდი ქართველი მეცნიერისა) და ფოტო-კაბინეტი.

ხელნაწერთა მოვლისა და დაცვის. ისე როგორც შესწავლის საქმის ჯეროვან სიმაღლეზე დაყენებისათვის უმთავრეს პირობას წარმოადგენს არსებობდეს შესაფერისი სიძველეთ-საცავი. რომელიც სათანადოდ იქნება მოწყობილი ხელნაწერი ფონდების შესანახავად. ზემდგომი ორგანოების პირ გადაწყდა აგებულიყო ინსტიტუტის შენობა და საგანგებო სიძველეთსაცავი. 1961 წელს ჩაეყარა საფუძველი ძველთაგანვე ქართველი მოწინავე ინტელიგენციის ამ დიდი ხნის ოცნებას. ამჟამად ჩვენ უკვე მოგვეპოვება ახალი. თანამედროვე ტექნიკური მიღწევებით აღჭურვილი. სპეციალური დანიშნულების შენობა. სიძველეთსაცავი. სადაც იმედიანად არის დაცული ჩვენი ერის მწიგნობრული საუნჯე.

ამ საუნჯეშია შენახული. მოვლილი. დამუშავებული და მეცნიერების საკასახურში ჩამდგარი 10.000-მდე ქართული ხელნაწერი. 25 000-მდე სიგელ-გუჯარი და ქართველი კლასიკოსი მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეთა პირადი არქივები.

მარტო პალიმფსესტების (ორჯერ გამოყენებული ეტრატების) 5000-მდე ფურცელი მოიპოვება (V—VIII სს.). მარად სახელოვანი „ვეფხისტყაოსნის 150-მდე ხელნაწერია. მათ შორის 30-მდე ვახტანგის რედაქციის წინადროინდელი: „ქართლის ცხოვრების" — 12 ხელნაწერი. ამდენივე — „დაბადების" (ბიბლიის) ნუსხა (მათ შორის იერუსალიმური და ათონური — ფოტო-პირებით).

გელათის ოთხთავი. (XII ს.) ხელნაწერთა ინსტიტუტი

აქვე არის დაცული X ს. მიქაელ მოდრეკილის „იადგარი" ქართულ საგალობელთა კრებული სანოტო ნიშნებით. „შატბერდის კრებული". სადაც დაცულია „მოქცევაჲ ქართლისაჲს" უძველესი ნუსხა და მრავალი სხვა.

ბუნებრივია. რომ ჩვენს საცავში. ქართული წერილობითი ძეგლები წარმოდგენილია მსოფლიოში ყველაზე უფრო სრულად და მრავალრიცხოვნად. მაგრამ, მარტო ამით როდი ამოიწურება ჩვენი საცავის მნიშვნელობა და ფონდების მარაგი... გარდა ზემონათქვამისა ჩვენთან დაცულია: 50-მდე ბერძნული ხელნაწერი, მათ შორის საქვეყნოდ ცნობილი „კორიდეთის ოთხთავი". 600-მდე რუსული, 300-მდე სომხური. 1500-მდე არაბული. 700-მდე სპარსული. 200-მდე თურქული და სხვა ხელნაწერი. მოგვეპოვება აგრეთვე ებრაული ხელნაწერების მცირე კოლექცია და მათ შორის. უნიკალური ე. წ. ლაილაშის ებრაული ბიბლია (მოსეს ხუთი წიგნი).

ჩვენი ხელნაწერთსაცავი ხელნაწერების უძველესობისა. იშვიათობისა და სიმრავლის თვალსაზრისით ერთ-ერთი უმდიდრესთაგანია საბჭოთა კავშირში.

ხელნაწერთა გამოსავლინებლად და მათ შესაძენად ეწყობოდა და ეწყობა ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში ხშირი ექსპედიციები. ამ გზით შეძენილმა ზოგიერთმა მონაპოვარმა მოლოდინს გადააჭარბა. ასე მაგ.. ერთ-ერთმა ექსპედიციამ ზემო იმერეთში. მისი წევრის აკაკი კლიმიაშვილის გულმოდგინე ძიების შედეგად გამოავლინა და შეიძინა „ქართლის ცხოვრების" კიდევ ერთი თარიღიანი ნუსხა ვახტან VI-ის წინა ხანისა (1697 წლისა). რომელსაც ამიერიდან შეიძლება შეერქვას „მცხეთური". ვინაიდან მისი გადამწერის თქმით. იგი მცხეთური ხელნაწერიდან არის დანუსხული. ექსპედიციების გამართვა. ჩანს. კიდევ უფრო უნდა გაცხოველდეს და ორგანიზებული გახდეს.

ინსტიტუტმა წამოიწყო ხელნაწერი ფონდების მიკროფილმებზე გადაღება და საჭიროებისამებრ ფოტო-ანაბეჭდების დამზადება, რათა დაინტერესებულ პირებს. რომელთა რიცხვი დიდად გაიზარდა ჩვენში. ესენი ეძლეოდეს ხელზე სამუშაოდ. რაც უთუოდ დაიცავს ორიგინალს ზედმეტი ხმარებისაგან. წამოწყებულია აგრეთვე ჩვენი ქვეყნის გარეთ დაცული ქართული ხელნაწერების მიკროფილმთა შემოკრება. სათანადო მიკროთეკის შესაქმნელად.

დაიწყო შელახული ხელნაწერებისა და მათი ყდების რესტავრაცია. აკინძვა და დაკაზმა. დღეს ეს საქმე მეტწილად საიმედო სპეციალისტების ხელთ არის.

ხელნაწერთა ფონდების მოვლა-დაცვასა და შეკრებასთან ერთად მათი შესწავლაცა და გამოქვეყნებაც წარმოებს. 1958 წლიდან. ინსტიტუტის არსებობის მანძილზე. გამოქვეყნებულია აღწერილობის ხუთი ტომი. რაც ადრე გამოცემულთან ერთად უკვე 14 ტომს შეადგენს. წარმოებაშია გადაცემული მე-15 ტომი. აღწერილს. ჯერ კიდევ გამოუქვეყნებელსა და აღსაწერ ხელნაწერთა მასალას 5 ტომი თუ დაიტევს. სულ. მაშასადამე. ინსტიტუტის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა 20 ტომიანი გამოვა. მას უაღრესი მნიშვნელობა აქვს. საერთოდ, ქართული კულტურის ისტორიისათვის და. კერძოდ. მისი მწერლობისათვის.

პარალელურად ღგებოდა არაქართული. სხვაენოვანი ხელნაწერების აღწერილობაც. ინტენსიურად წარმოებს არაბულისა და სპარსული კოლექციების აღწერა. თითქმის დამთავრებულია. სარედაქციოდ არის გამზადებული თურქულისა და აზერბაიჯანული კოლექციების აღწერილობა. შევსება დასჭირდება

სომხური ხელნაწერების კოლექციის ადრე გამზადებულ აღწერილობას ბოლო წლებში შემოსული მასალით.

გამდიდრდა ახალი შეძენილი მასალებით XIX—XX სს.-ის ქართველ საზოგადო მოღვაწეთა და კლასიკოს მწერალთა პირადი არქივები. მათთვის დგება კატალოგები. გამოიცა სხვადასხვა ორგანოში და ცალკე წიგნადაც საარქივო მასალები მეტად აქტუალურ თემებზე. რომლებსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ქართული საზოგადოებრივი აზრის ისტორიისათვის.

დაწყებულია ისტორიული დოკუმენტებით მდიდარი ფონდებისათვის საძიებლების შედგენა. ცალკე წიგნად გამოიცა 1964 წ. ზ. ალექსიძისა და შ. ბურჯანაძის მიერ შედგენილი „მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისა და ტოპონიმიკისათვის". I წიგნი (X—XVII სს-ის ისტორიული დოკუმენტების მიხედვით). მზადდება მისი გაგრძელება. ისე როგორც ცალკე კრებულები სახელწოდებით: „მასალები ქართული ონომასტიკონისათვის (ისტორიულ დოკუმენტებში მოხსენებულ პირთა)".



ბოლნისის სიონის წარწერა, 492 წ.

ინსტიტუტმა შეძლო გამოექვეყნებინა 1958 წლიდან მოკიდებული დღემდის ძველი ქართული მწერლობის ძეგლებიც. 14 წიგნად არის გამოცემული აღნიშნული ტექსტები. ეს წიგნები ძველი ქართული ენის. ლიტერატურისა და ისტორიის ძვირფას წყაროს წარმოადგენენ. მზადდება ძველი ქართული მწერლობის სხვა ღნიშვნელოვანი ძეგლებიც. მათგან აღსანიშნავია ძველისა და. საერთოდ. ქართული ენის ისეთი საუნჯე. როგორიცაა ძველი აღთქმის წიგნები. რომლის უადრინდელესი ტექსტები ხანმეტ პალიმფსესტებში აღმოჩნდა.

პალიმფსესტების დასამუშავებლად აუცილებელი სპეციალური ლაბორატორიის მოსაწყობად პირველი ნაბიჯებია გადადგმული. ცდებმა ერთს VII ს-ის

ხელნაწერზე კარგი შედეგი გამოიღო. დღემდის ცნობილ აპოკრიფულ ხანმეტ ტექსტებს შეემატა აპოკრიფული აგიოგრაფიის კიდევ ერთი ძეგლის ფრაგმენტები. ესაა „წამებაჲ ქრისტინაჲსი", რომლის ძველი ქართული თარგმანი ორი რედაქციით არის შენახული მერმინდელს. X—XI სს-ის ნუსხებში.

აკად. ივ. ჯავახიშვილის სახელობის კაბინეტმა იმ დღიდან, რაც ის ჩვენს ინსტიტუტს გადმოეცა (1960 30. III) შეამზადა და გამოსცა დიდი ქართველი მეცნიერის გამოუქვეყნებელი მეშკვიდრეობიდან 4 ნაშრომი, რომლებიც მატერიალური კულტურის ისტორიის საკითხებს ეხება.

ასეთია მოკლედ ის საქმიანობა, რომელსაც კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი ეწევა. მის ალამს აწერია: შემოკრება მწერლობის ძეგლებისა, მათი მოვლა, დაცვა, შესწავლა და უმნიშვნელოვანესთა გამოქვეყნება.

არჩილ მეფის შეწირულების წიგნი
სვეტიცხოვლისადმი, 1670 წ.